საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 5 დეკემბრის №70 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 12 000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში;
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 1 დეკემბრის №1335 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ეხება „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებას, მიმდინარე წლის ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში გათვალისწინებულია 311 400 ლარი.

   აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 311 400 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს სხვა ხარჯების სტიპენდიების გრაფაში.
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის ბიუჯეტში შეტანილი იქნეს ცვლილებები, კერძოდ: თანამდებობ-რივი სარგოს მუხლიდან გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენის ხარჯების მუხლში 11 640 ლარი; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებში — 4 560 ლარი; არაფინანსური აქტივების ელ. მოწყობილობების შეძენის მუხლში — 35 391

ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების მუხლში — 700 ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში — 50 ლარი; არაფინანსური აქტივების სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული — 400 ლარი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე